რედაქცია

გალავინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა


ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივის ასოთი მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



ართრუნის თეატრში

კვირას, 8 თებერვალს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

პარიჟელი კინტო

კომედია ორს მოქმედებად.

II

ბ უ ტ ი ა ო ბ ა

ვოდევილი 1 მოქ. ა კ. წერეთლისა.

III

დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი

სხვათა შორის ა. ლორთქიფანიძე წაიკითხავს იმერულ და გურულ სცენებს.

ბილეთები ისყიდება ართრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

ქუთაისში

ახლად გაიღო სასტუმრო

ბელ-ვიუ

ხენინოვის სახლში, შუა-ქალაქის, სადგილ-მამულო ბანკის გვერდით, ქალაქის გამგეობის, ბაზრისა და ბულვარის ახლო. ნომრები ჩინებულად მოწყობილია ღირს თითო 75 კ.—დან 2 მან. 50 კ.—მდე. სასტუმროსთან არის ჩინებული რესტორანი, ევროპიული ღვინოები პეტერბურღის საუკეთესო ფირმებისა და კარგი ბ ი ლ ი ა რ დ ი. ფასები ძალიან ხელ-მისაცემია. სადილი თვეობით: 2 თავი 10 მან; 3 14 მან; 4 თავი 18 მან. ყოველ-დღიური სადილი ათ შაურიდამ ორ მანეთამდე. არის ცალკე კაბინეტები მანდილოსნებისათვის. (3—1)


## ტელეგრამმები

პეტერბურღის ბირჟა, 5 თებერვალს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 95 | 75 |
| მეორესი — — — — — | 93 | 25 |
| მესამესი — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 93 | 37 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 92 | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92 | 37 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 92 | 75 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — — | 7 | 76 |
| თფილისის სადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 223 | „ |
| მეორე სესხის — — — | 222 | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 | 28 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 215 | „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 266 | 50 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## ქალაქის რჩევის სხდომა

5 თებერვალს.

ზალა გაჭედილია ხალხით. მას აქეთ, რაც ქალაქის თავის არჩევანი იყო არც ამდენი ხმოსნები და არც ამდენი გარეშე მაყურებელი ხალხი არ უნახავს ჩვენი ქალაქის რჩევის ზალას.

მიზეზს მკითხველი მიმხვდარი უნდა იყოს: ქალაქის ხაზინის რევიზიისათვის დანიშნულ კამისიამ დღეს უნდა მოახსენოს რჩევას—თუ რა აღმოაჩინა ამ რევიზიამ.

ბევრი მითქმა მოთქმა და ლაპარაკი იყო ამ საგანზე ქალაქში. ზოგი ამბობდა: ქალაქის ხაზინაში თვრამეტი ათასი მანეთი არა სჩანსო; ზოგი ამტკიცებდა, ოც-და-შვიდი ათასი მანეთი აკლიაო, ზოგი, რომ გამგეობის წევრებს თითო წლის ჯამაგირები წინათ აქვსთ წაღებულია, ფულის საქმეების წარმოებაში უწესოება აღმოჩნდაო და სხვ. და სხვ.

ამ გვარ ხმებმა, რასაკვირველია, ინტერესი აღძრეს საზოგადოებაში და ამას მიეწერება, რომ გუშინ სალამოს ამდენი ხალხი მოგროვდა რჩევის სხდომაზედ.

სხდომის გახსნისა-თანავე ხმოსანმა ნ. დ. ზუბალოვმა შემოიტანა წინადადება, რომ, რადგან ჩვენ დღეს გამგეობის მოქმედება უნდა განვიხილოთ, ამიტომ, „საქალაქო წესდების“ მე-147, 52 და 53 მუხლების ძალით, ქალაქის თავი უნდა გადადგეს კრების თავმჯდომარეობიდამ და იმის მაგიერად თავ-მჯდომარედ უნდა იქნეს ის ხმოსანი, რომელსაც კენჭის ყრის დროს ყველაზე მომეტებული ხმა მოუვიდაო.

სეკრეტარმა წაიკითხა ხსენებული მუხლები წესდებისა.

რჩევამ გარდასწყვიტა, რომ ეს მუხლები ქალაქის თავს არ უშლიან ამ შემთხვევაში თავ-მჯდომარედ ყოფნას და ამიტომ ის დარჩესო.

შემდეგ ქალაქის სეკრეტარმა წაიკითხა რევიზიის კამისიის მოხსენება, რომლიდამაც შევიტყეთ შემდეგი:

26 იანვარს, სალამოს, ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილებით, კამისიამ დაკეტა ფულის ზანდუკი. მეორე დღეს, დილით კამისიამ გახსნა ეს ზანდუკი და აღმოჩნდა, რომ იმაში და მეორე დაუკეტელ ზანდუკის უჯრაში იყო სულ 218,000 მანეთის თუ ქაღალდის, თუ ვერცხლის ფული და თუ სარგებლიანი ქაღალდები და სხვა-და-სხვა დოკუმენტები. კამისია დარწმუნდა, რომ თფ. კომერციულ და ურთი-ერთ ნდობის ბანკში შეტანილი ქალაქის ფული სრულად იყო. ბუღალტერიის და კასსის წიგნებიდამ აღმოჩნდა, რომ ქალაქის ხაზინაში უნდა ყოფილიყო 236,000 მან. დანაკლისის 18,000 მანეთის შესახებ გამგეობამ და კასსირმა წარმოადგინეს შემდეგი ანგარიში: სხვა-და-სხვა ქალაქის მოიჯარადრებს და პირთ ზოგს უბრალო ხელ-წერილით და ზოგს სულ უბარათოთ და უხელწერილოთ მიუღიათ 11,800 მ.; გამგეობაში მოსამსახურე პირთ მიუღიათ წინათვე ჯამაგირები 6,328 მან., ამათში ქალაქის გამგეობის წევრს პაპოვს მიუღია წინათ თებერვლის, მარტის და აპრილის ჯამაგირი, ქალაქის სეკრეტარს იზმაილოვს—თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის, ქალაქის თავს—50 მან., ადვოკატს თ. გ. ჩიქოვანს—125 მან. და სხვ. და ყველა ამას გარდა ქალაქის ხაზინაში არა სჩანს კიდევ მაინც 217 მანეთი.

აი რევიზიის შედეგი. ზალაში ცოტა სიჩუმე ჩამოვარდა.

**ქალაქის თავი.** ვის ნებავს სთქვას რამე ამ რევიზიის შესახებ?

**ხმოს. ნ. დ. ზუბალოვი.** ნება მომეცით ზოგიერთი გარემოება ამ რე-

---

## „დროების“ ფელეტონი, 7 თებერვალს

### ცხელ-ცხელი ამბები

აქლემს ჰკითხეს: „—კისერი რათა გაქვს მრუდეო?“ და იმან უპასუხა: —სხვა რა მაქვს სწორიო!“ ეს ანდაზა უნდა ახსოვდესთ ჩვენს კორრესპონდენტებს, როდესაც მოსამსახურე და მოხელე პირებზედ რამეს იწერებიან.

იმ წვრილმან უკანონობაზედ და ცოდვებზედ, რომელნიც დროთა ვითარებისაგან თითქმის საყოველთაო კანონად გადაქცეულან, არა ღირს ხმის ამოღება... რა დროს რწყილების დევნაა მაშინ, როდესა მგლები კარზედ გვახვევიან?! ჩვენი კორრესპონდენტები კი წვრილმან რამეებზედ აღშფოთებით გვწერენ; სჩანს, რომ ჯერ იმათ არ შეუტყვიათ ის სხვილ-სხვილი ამბები, ჩვენ რომ ვიცით, თორემ ველარა აიტანდნენ და გაგიჟდებოდნენ.

მაგალითად, თუ გინდათ, ის ფაქტები აიღოთ, რომელსაც პლუტუცას შესახებ გვწერენ... აი ერთი მათგანი:

„ერთ გლეხს, გვარათ გაბუნიას (რა სოფლისა, არ ვიცი; მაგრამ თუ საჭირო იქნება, შამოგითვლით) ჩხუბი მოუვიდა ერთ თავის სოფლის თავადთან. გლეხმა თავადი დასჯობა. თავადმა, რასაკვირველია, იჩივლა; მაგრამ გლეხი გაამართლეს. მომრიგებელ მოსამართლემ გამოაცხადა, რომ გაბუნიას სანჯალი უხმარია თავის თავის დასაცველადო, და ამისათვის კანონი მას არა სჯისო.

„თავადმა ახალი მოწმეები იშოვნა, რომ გაბუნია მას მიუხტა მოსაკლავად, და სელ-ახლა იჩივლა ამ საქმეზე. მსაჯულმა სელ-მეორეთ სცნო გაბუნია მართლად.

„გაბოროტებული თავადი მაზრის წინამძღოლს ეჯუანება:—„ჩვენი სისხლი ხარ, ჩვენი ხორცი ხარ, თქვენც თავადი შვილი ბრძანდებით, ნუ შეაწევთ იმ საძაგელ ყაზახს თავადის შეურაცყოფისას. მოგვისერსე რამე“.

„მაზრის წინამძღოლმა მიიღო ცოტა რამ მხედველობაში თავადისაგან და მეორე დღესვე პლუტუცასთან მოიჭრა და ყურში ჩასჩურჩულა, რომ ერთი სიტყვით, პატივი უნდა გვცეო და ის ყაზახი გაგვაცალოო.—„მაგისთანებში მე დამასხსაჯლეთ, ანუგეშებს პლუტუცა მაზრის წინამძღოლს; მალე მოვაკვარახჭინებ საქმესო“.

„მეორე დღესვე პლუტუცა დაიბარებს თავის ხელქვეითს და უბრძანებს:

„—აბა, გეთაყვა, დატრიალდი შენებურათ და ერთი ოქმი შეადგინე, რომ გლეხი გაბუნია არის მთელი საზოგადოების მავნებელი მწყერი: ქურდი, მცარცველი და სხვ. და სხვ. მოაწერინე ხელი საზოგადოებას და წარმომიდგინე მალეო“.

ოქმი რასაკვირველია, შესდგა, ხელიც მოაწერეს. პლუტუცამ, ეს ვითომ საზოგადოებისაგან შედგენილი ოქმი, საცა რიგი იყო წარადგინა თავის რაპორტით, რომელშიდაც სწერდა, რომ ამ გლეხისაგან აკლებულია მთელი საზოგადოება და გთხოვთ სოფლის საზოგადოების სურვილისამებრ მოაშოროთ ის ჩვენს მაზრასო.

„გასჭრა ამ ხერხმა და ციმბირში გაგზავნეს საწყალი ორჯერ კანონისაგან გამართლებული კაცი!..

„ამ საბრალო გლეხს დარჩა სახლში

ვიზიისა გამოკვეთხოთ თვითონ კამისიის წევრებს *)?

ქალ. თავ. შეგიძლიანთ.

**ხმოს. ზუბალოვი.** ბ. ფონდოევო, რამდენი ზანდუკი დაბეჭდეთ თქვენ კასსირის ოთახში?

**ფონდოევი.** კასსირის ოთახში ორი ზანდუკი იდგა; ჩვენ მარტო ერთი დავბეჭდეთ.

**ზუბალოვი.** რატომ მეორე ზანდუკსაც არ დააკარით ბეჭედი?

**ფონდოევი.** იმიტომ რომ გამგეობის წევრმა ბ. პაპოვმა გვითხრა, რომ ამაში მარტო სხვა-და-სხვა დოკუმენტებია, ფული არ არისო.

**ზუბალოვი.** სამი ათასი მანეთი სადღა იყო, მეორე დღეს რომ ნახეთ?

**ფონდოევი.** ის სამი ათასი მანეთი სტოლის უჯრაში იდვა და, როგორც გვითხრეს, წინა დღის 26 იანვრის შემოსავალი იყო.

**ზუბალოვი.** დარწმუნდით თქვენ, თუ არა, რომ 27 იანვარს დილით ადრე კომერციულ ბანკში ქალაქის ფული არ შეტანილა?

**ფონდოევი.** ბანკში არ გვიკითხავს, მაგრამ ისე ადრე ვიყავით, რომ იმ დროს ბანკში ფულის შეტანა არ შეიძლებოდა.

**ზუბალოვი.** ახლა ორი რამ უნდა თვითონ გამგეობას ვკითხო: ხელმძღვანელობთ თქვენ, თუ არა, იმ საანგარიშო წესდებით, რომელიც მთელი რუსეთის იმპერიის უწყებებისათვის ვალდებულია?

**გამგეობის წევრი პაპოვი.** არა. მაგრამ ჩვენს გამგეობაში შემოღებული ანგარიშის წესდება და ბუღალტერია საუკეთესო წესდებათ ითვლება.

**ხმოს. ლ. ელიმირზოვი.** „საქალაქო წესდების“ ძალით, ქალაქის გამგეობა არ არის ვალდებულ, რომ სახელმწიფო ანგარიშის წესით იხელმძღვანელოს.

**ზუბალოვი.** რატომ ოქტომბრიდამ დაწყებული გამგეობას ერთჯერაც არ უქნია კასსის რევიზია?

**გამგ. წევრი პაპოვი.** თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, თომ დეკემბრისა და იანვრის განმავალობაში იმდონი ხალხი მოაწყდება ხოლმე ქალაქის გამგეობას სავაჭრო დოკუმენტებისა და მოწმობის ასაღებად, რომ ერთი წამი მოცალეობა არა გვაქვს. უკანასკნელი რევიზია ნოემბერში იყო; მერე კი ველარ მოვიცალეთ.

**ზუბალოვი.** რატომ უბარათოთ აძლევდით ფულს პოდრიადჩიკებს და აგრეთვე სხვა პირებს?

**ქალაქის თავი.** კასსირი ენდობოდა ამათ.

**ზუბალოვი.** რატომ სამი-ოთხი თვის ჯამაგირს აძლევდით წინათ გამგეობაში მოსამსახურეთ. ამ გვარი წესი არსად არ გაგონილა...

**ქალაქის თავი.** იმიტომ რომ იმათ ეჭირებოდათ ფული.

**ზუბალოვი.** ჩემის აზრით, რევიზიამ დაამტკიცა, რომ ქალაქის გამგეობას ბევრი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია ქალაქის ხაზინის მოხმარებაში და ამიტომ, რადგან შეიძლება, რომ იმათ პასუხის-გებაში მიცემაზედ გვექნეს სჯა, ამიტომ თავს-მჯდომარეობა სხვა პირს უნდა მიენდოს და ქალაქის თავი გადადგეს.

**ქალაქის თავი.** სანამ ჩვენს პასუხის გებაზე ჩამოვარდება სჯა, მანამ შეგიძლიანთ მხოლოთ რევიზიის შედეგზე ილაპარაკოთ.

**ხმოს. იოანესიანი** გაცხარებით ამტკიცებს, რომ რევიზიას არავითარი ბოროტ-მოქმედება არ აღმოუჩენია ქალაქის ხაზინის გამგეობაში. არის მხოლოთ რამდენიმე არა არსებითი დაუდევრობა და შეცდომა გამგეობისა, რომელიც ყველა უწყებაში შესაძლებელია.

ამასვე ამბობს მეორე ხმოს. ლ. ელიმირზოვი. გამგეობას ჩვენგან ბძანება არ ჰქონიაო, რომ ჯამაგირები წინათ არვის მისცესო და ამიტომ აძლევდა ხაზინადარიო; ახლა, თუ გინდათ, ინსტრუკცია დაუწეროთ და შეასრულებინო. ბ. ელიმირზოვის აზრით, მთელი ეს რევიზია ზუბალოვმა მხოლოთ სკანდალისათვის ასტეხა და სხვა არაფრისათვის.

**ხმოს. გ. გ. ევანგულოვს** ძალიან უკვირს, რომ რევიზიის შესახებ ხმოსანის ზუბალოვის წინადადებამ ასე გააბრაზა ზოგიერთი ხმოსნები. მე მგონია, მადლობის ღირსია ჩვენგან ბ. ზუბალოვი ამ წინადადებასათვის, რადგან ქალაქში ბევრი უსაფუძვლო ლაპარაკი იყო ამ საგანზე და ახლა ყველანი დარწმუნდებიან, რომ ქალაქის ხაზინას არავინ არ სცარცვავს. რაიცა შეეხება თვითონ რევიზიის შედეგს, არ შემიძლია არა ვსთქვა რომ უკანონო და წინ-დაუხედავ მოქმედებათ მიმაჩნია ვამგეობის მხრით უხელ-წერილოთ ფულის მიცემა და აგრეთვე წინეთ ჯამაგირების დარიგება, და კარგი იქმება, რომ შემდეგში გამგეობამ ამისთანა საქმე აღარ ჩაიდინოს.

**ქალაქის თავი.** თუ თქვენი გადაწყვეტილება იქნება, ორივესი შესრულება ადვილად შეგვიძლია.

**ხმოს. ზუბალოვი** თხოულობს, რომ გამგეობამ ახლავე შეავსოს, რაც ფულები ქალაქის ხაზინას აკლია.

**ქალაქის თავი.** თუ საჭირო იქნება, ეგ ხვალვე შეიძლება.

ბოლოს რჩევამ გარდაწყვიტა, რომ გამგეობის განუკიცხველად და ნდობის გამოუცხადებელად, მორიგ საქმეების განხილვას შეუდგეს. ამასთანავე გამგეობა შემოიტანს რჩევაში წინადადებას გამგეობაში მოსამსახურე პირების ჯამაგირის თაობაზედ.

ასე მშვიდობიანად გათავდა ეს სხდომა, რომელზედაც ბევრ ჰქაქუხილსა და შეხეთქებას მოელოდნენ.

---

*) რევიზიის კამისიას შეადგენდნენ ხმოსნები: ბბ. ფონდოევი, ტერ-ოსეფოვი და ტერ-ასატუროვი.

## გორის საქალებო პროგიმნაზიის გახსნაზედ.

ბატ. კავკაზიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის ნება-დართვით ქ. გორში იხსნება ოთხ-კლასიანი საქალებო პროგიმნაზია საზოგადო და კერძო ხარჯზედა მეხუთე მოსამზადებელის კლასითა.

სამზრუნველოს რჩევის გარდაწყვეტილობით, პროგიმნაზია უნდა გაიხსნას 30 მომავლის აგვისტოს თვესა. მშობლები და ნათესავები, ვისაც სურსთ მისცენ თავიანთი ქალი ანუ ნათესავი სასწავლებლათ ამ პროგიმნაზიაში, აძლევენ თავიანთ თხოვნასა უბრალო ქაღალდზედ, მღვდლისაგან მიცემულ მეტრიკის მოწმობის მიგჩადებითა, გორის საოსტატო სემინარიის დირექტორის სახელზედ, როგორათაც თავ-მჯდომარის სამზრუნველო რჩევისა ქ. გორში დღეიდგან ამა განცხადებისა ვიდრე 25 მომავალს აგვისტომდინა.

ჯერ-ჯერობით პროგიმნაზიაში იხსნება მოსამზადებელი პირველი და მეორე კლასები; უკეთუ მოსამზადებელ კლასში მისაღებად აღმოჩნდებიან ღირსნი არა ნაკლებ თხუთმეტის ყმაწვილისა, წლიური ფასი ყველა ვალდებულ საგნებზედ გარდაწყვეტილია შემდეგი: მოსამზადებელ კლასში 15 მანეთი, პირველში 20 მან., მეორეში 30 მან. ფული უნდა შეიტანონ ხოლმე ნახევარ-ნახევარ წლის წინათ აგვისტოში და იანვარში.

ყმაწვილები უნდა მოიყვანონ სასწავლებელში 25 აგვისტოსთვის, რომ გაარჩიონ თუ რომელი ყმაწვილი რომლის კლასის ღირსია. მოსამზადებელ კლასში მიიღებიან წერა-კითხვის უცოდინარო ყმაწვილებიცა შვიდიდგან ვიდრე თორმეტ წლამდისა. სხვა კლასებში ეგზემენიისა-და-გვარათ 10—14 წლამდისა.

ქალაქის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ დააყენონ თავიანთი შვილები ხრუშჩოვის პანსიონში ერთიერთმანეთში მორიგებითა და თანახმობითა.

პროგიმნაზიის ვალდებულ საგნებათ ირიცხებიან: ღვთის სჯული მართლ-მადიდებელისა და სომხეთ-გრიგორიანის სარწმუნოებისა, რუსული ენა, ქართული და სომხური, არითმეტიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, ისტორია, ბუნების მეცნიერება, წერა,

---

აქვსი ერთი-მეორეზე პაწაწკუნა ყმაწვილები, ბებერი დედა და ცოლი. ეს საწყლები ესლა მათისოვრობენ სოფელ-სოფელ“...

სასაცილო ის არის, რომ ჩვენს კორრესპონდენტს უკვირს ამ გვარი შემთხვევა და იხსენიებს მხოლოდ ერთს პლუტუცას მაშინ, როდესაც ეს თითქმის საზოგადო და საყოველთაო მოვლენაა ჩვენში.

თუ რომ ამ გვარათ არ იგზავნებოდენ, განა ამდენი ცუდ-კაცობა და ავაზაკობა რაც დღეს არის, კიდევ იქნებოდა? სოფლის საზოგადოებას აქვს მინიჭებული ეგ უფლება, მაგრამ გარემოება კი სხვების ნებაზედ ატარებს მათ...

ამას წინათ ერთს მაზრაში ვიყავ და აქ ცრემლებით შემომჩივლეს გლეხებმა მათს უკიდურეს მდგომარეობაზედ და სხვათა შორის აი რა მითხრეს:

„— ბატონო, არ შეიძლება, რომ როგორმე შეგვაწერონ გარდასახადი ფული, გინდ ერთ-თავად, გინდ ყოველ-წლობით და ოღონდ კი გადაგვარჩინონ ამ სატანჯველს? ღმერთმა ხომ იცის, რომ ეგ გზა მხოლოდ ჩვენ ხაფანგათ არის გამოგონილი: ხან ზეით გასჭრიან და ხან ქვევით; მაგრამ გათავებას კი არა ეშველა-რა. და არც გათავდება მის დღეს... ან კი რათ უნდა გაათავონ? ხაფანგია! ხაფანგი!

— როგორ თუ ხაფანგი-თქო? ვკითხე-ყე.

— დიახ, ხაფანგია, რომ ჩვენ გავებათ ორივე ფეხებით.

— რას ამბობთ? როგორ?

— აი როგორ შენი ჭირიმე: ხომ მოგეხსენებათ თქვენც, რომ ჩვენში ბევრი მისთანა ხელობის კაცია, რომ არაფერი ხელობა არა აქვს. არაფერს არ დაერიდება, ოღონდ კი რამეს გამორჩეს. იმგვარ კაცების ხელშიდა ვართ ჩაყრილი. იმათ იციან, როდის უნდა მოგვწურონ, რომ ზეთი გაგვადინონ და როდის არა! — როგორც კი დაგვიდგება სამუშაო ალო, მაშინ გაახსენდებათ გზის მუშაობაც და სულ ცოლის კაბებს ვაგვაყიდვინებენ ხოლმე და ისე გამოგვახსნევინებენ თავს.

— მერე თქვენი ამორჩეული მოხელეები რატომ არ იღებენ ხმას?

— კაია შენი ჭირიმე, სულაც ამათგან ამოვვარდით.

— რათ ირჩევთ მაგათთანებს!

— ჩვენ კი არ ვირჩევთ ამოგვარჩევინებენ ხოლმე... ორჯერ სამჯერ შევჰკარით პირობა და ჩვენ რომ გვინდოდა მისთანები ამოვირჩიეთ, მაგრამ ისინი ხან არ დაგვიმტკიცეს და ხან გამოგვიგდეს... მოდი და ნუ დაჰყვები იმათ ნებას!

— თვითონ თქვენ რაღას გაჩუმებულხართ... შეატყობინეთ...

— მგეც ვცადეთ და ბევრი მოგვხვდა... აბა, შენი ჭირიმე, ჩვენისთანა საწყალის სიტყვა გავა?

— რას ამბობთ, კაცო?.. ბატონების დროს ცხვრებიც კი ბღაოდნენ და თქვენ, თქვენ რა ღმერთი გაგწყრომიათ? განა ცხვრის-ოდენაც აღარ შეგიძლიათ?..

— ვინც დაიბღავლა იმას რა კარგი მოუვიდა? ჯანაბეთისაკენ უკრეს თავი და მით გაუთავეს საქმე...

— მგ ხომ უთქვენოთ არ მოხდებოდა? რათ დათანხმდით?

მხატვრობა, გიმნასტიკა, გალობა და ხელთ-საქმობა.

ნებაყოფლობით საგნებზედ კი — ფრანცუზულ და ნემეცურ ენებისა და მუზიკისა — დაიდების განსაკუთრებით დამატებითი ფასი, რომლის რაოდენობაც დამოკიდებული იქმნება ამ საგნების შემასწავლებელის მსურველთ რიცხვზედა. სამეცნიერო პროგიმნაზიის კურსი გაივლება თანახმათ ტფილისის პროგიმნაზიის პრაგრამისა, რომ იმ ქალებს, რომელთაც სურსთ განაგრძელონ სწავლა ტფილისის გიმნაზიაში, პირდაპირ შეეძლოთ შესვლა მეხუთე კლასში.

შემდეგისთვის მოსაზრებულია გაისხნას პროგიმნაზიასთან განსაკუთრებითი პედაგოგიური ორწლიური კურსი იმათთვის, ვინც ისურვებს მიიღოს უფლება იწოდებოდეს პირველ-დაწყებით სამოქალაქო და სასოფლო სასწავლებლის მასწავლებლათ.

პროგიმნაზიის ნაჩალნიკათ (უფროსად), სამზრუნველო რჩევის ერთ ხმის გარდაწყვეტილობით, ამორჩეულია კნეინა მარიამ გრიგოლის ასული მაყაევისა, ჩამამავლობით ლემენი, რომელმანც მიიღო განათლება პირველს პეტერბურღის მარინეს საქალებო გიმნაზიაში და რომელიც გამოჩენილია თავის პედაგოგიურის გამოცდილობითა.

## ახალი ამბები

გუშინ-წინ, 4 თებერვალს, ერთი უბედური შემთხვევა მოხდა ჩვენს ქალაქში: ვერის იქით მინდორზე, მლაშე ტბის მახლობლად ნახეს ცოცხალ-მკვდარი მასწავლებელი თფ. საქალაქო პირველ-დაწყებით სკოლისა ნიკოლოზ ჩიხოევი, რომელსაც რევოლვერი ეკრა ყურში. ეს ყმაწვილი ქალაქის საავათმყოფოში კიდევ ცოცხალი მიიყვანეს და იქ გამოაცხადა, რომ თავის-მოკვლის განზრახვა ჰქონდაო.

ჩიხოევი შთამომავლობით ოსი იყო. ამხანაგები უქებენ იმას ხასიათს და ჭკუას. ამ უკანასკნელ დროს ის რორლაც დაღონებული და ჩაფიქრებული იყოვო.

* * *

არტაანიდამ გაზ. „კავკაზში“ იწერებიან, რომ ჩვენს მაზრაში მხოლოთ ერთი-მესამედი მცხოვრებლები დარჩენო, დანარჩენი კი ოსმალეთში გარდასახლდნენო. რამდენიმე რუსის ოჯახი გადმოასახლესო ამ მაზრაში, მაგრამ, რადგან შარშან ამათ მინდვრები არ შეუმუშავებიათ, ამის გამო წელს არაფერი მოსვლიათ, ქალაქში ჩამოვიდნენ მუშაობის საძებნელათაო.

* * *

ბაქოს გაზეთი გვაცნობებს, რომ ჩვენი ქალაქი რეალურ გიმნაზიის გახსნას აპირებს თავის ხარჯითაო და ამ განზრახვით პროექტი წარუდგინა მმართებლობას დასამტკიცებელათაო.

* * *

იმერეთიდამ გვწერენ:

„ბლაღოჩინების ხელ-მეორედ ამორჩევის დრომ მოაწია და შეიქნა ფაცა-ფუცი მღვდლებში. დღემდინ ბლაღოჩინები იღებდნენ ძღვნებსა და საჩუქრებს მღვდლებისაგან და ახლა კი პირ-იქით ისინი აძლევენ მღვდლებსა და პრიჩეტნიკებს, ოღონდ მომავალ კენჭის-ყრის დროს ხელი მოგვიმართეთო. ზოგს სკუპიას ჰპირდებიან, ზოგს კამელავკას, პრიჩეტნიკებს მღვდლად კურთხევას და სხვ. და ამნაირის საშუალებით ცდილობენ, ისევ ბლაღოჩინად დარჩნენ; და ბევრს, უეჭველია, კიდეც შეუსრულდება თავის ნატვრა.“

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

№ 25 თქვენის პატივცემულის გაზეთისა დაბეჭდილი გახლდათ, რომელ ვითომ 2 თებერვლისას, საღამოს 4 საათზედ, ჯვარის-მამის მღვდელს არ დაესაფლავებინოს მიცვალებული პატარა მოსამსახურე გოგო, სიღარიბისა გამო მისისა...

ამაზედ მოგახსენებთ, ბ. რედაქტორო, რომ მე, ჯვარის-მამის მღვდელს, თებერვლის 2, საღამოს 4 საათს, ზარების რეკის დროს, როდესაც ლოცვაზედ გიახლებოდით — და ჯერ არც კი მელოცნა, არა მიცვალებულის საქმე არა მქონია-რა.

გთხოვთ ინებოთ და საცნობლად თქვენის პატივცემულის გაზეთის მკითხველთა დაბეჭდინოთ ეს რაოდენიმე სიტყვა თქვენ გამოცემულ გაზეთშია.

მ. დ. გურგენიძე.

ხელ-უხლებლად ვბეჭდავთ ამ წერილს. ხსენებული ამბავი ჩვენ გადმოგვცა ორმა სანდოიო მოქალაქემ, რომელნიც, სხვათა შორის, უმღვდელოთ დასაფლავების მოწამენი იყვნენ და რომელთაგან ერთს ამ საგანზე მ. გურგენიძესთან გაცხარებული ლაპარაკიც ჰქონია. ამას გარდა ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ საქმემ საქართველოს ეგზარხოსის ყურამდინაც მიაღწია და თუ რიგიანი, პირ-უთნელი გამოძიება მოახდინეს, იმედია, მაშინ უფრო ნათლად დამტკიცდება: მართალია მ. გურგენიძე ამ საქმეშითუ არა.

რედ.

# უცხოეთი

ტფილისი, 5 თებერვალს.

ბიკონსფილდის სამინისტრომ, როგორც მოგეხსენებათ, მრავალი მძიმე საქმე დაუმკვიდრა გლადსტონს. ამ საქმეთა შორის ერთი უპირატესი ადგილი უჭირავს ირლანდიის გაჭირებულ მდგომარეობას და მასზედ დართულს აჯანყებას, რომელსაც არამც თუ ძალა არ დაჰკლებია შარშანდელს აქეთ, არამედ თან-და-თან ძირი გაუმაგრდა კიდეც, რაკი შარშანდელს არჩევანში გამარჯვებულ იქმნენ ლიბერალები და სამინისტროში იმისთანა კაცებს ერგოთ წილი, როგორც გლადსტონს და ბრაიტს, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ირლანდიის საქმე გარდაწყვეტილ იქმნება სასიკეთოდ ყველასთვის.

გავიდა ხანი და არა ისმოდა-რა მაზედ თუ რას აპირებს გლადსტონის სამინისტრო. ამასობაში [illegible] თა უკმაყოფილობა [illegible] ერდა, რომ რევოლიუციის შიშს მოასწავებდა. რამდენიმე მამულის პატრონთა მოკვლა, მრავალგვარი პროკლამაცია, რომლითაც ირლანდიელები ემუქრებოდნენ ლენდ-ლორდებს (ე. ი. მამულის მეპატრონეთ) და სხვა ამ გვარი იმდენად თვალ-საჩინო შეიქმნა და იმდენად გააუქმა მშვიდობიანობა და ყოველივე საზოგადოებრივი წესიერობა, რომ მთავრობა იძულებულ იქმნა მიეღო რაიმე მტკიცე ღონის-ძიება და სასტიკი რამ საშუალება ვიდრე ირლანდიის ხალხის მდგომარეობა თვით კანონით შეიქმნებოდა შეცვლილი და ვიდრე ინგლისის პარლამენტის წინაშე წარდგენილ იქმნებოდა სანატრელი რეფორმები შესახებ ირლანდიისა. მთავრობამ გაგზავნა ჯარი, ყოველს მამულის პატრონს მიაყენა ყარაული და სხვ. ამ გვარი, მაგრამ, მაინც მაგდენი ვერა გააწყო-რა, უკმაყოფილი და აღელვებული ხალხი ვერ დაამშვიდა. ყველა ეს საშუალება, რომელიც ხელთ ეპყრა მთავრობას და რომელიც შეეძლო ეხმარა მას პარლამენტის ნება-დაურთველად, არა კმაროდა მეთქი; ამიტომ მთავრობამ წარუდგინა პარლამენტს კანონად მისაღები წინადადება, რომელშიაც მოხსენებულია სხვა-და-სხვა ძალ-დატანებითი ღონის-ძიებანი ირლანდიის დასამშვიდებლათ. აქ უნდა შევნიშნოთ ბრაიტის სიტყვა პარლამენტში ამ წინადადების თაობაზედ. ბრაიტი როგორც მოგეხსენებათ ყოველთვის ირლანდიის კეთილის მოსურნე იყო და იმ აზრს ადგია, რომ ირლანდიის გლეხებისა და მამულის პატრონთა შორის ურთიერთობა ძირიანად უნდა იყოს შეცვლილიო კანონით, რათა გლეხსაც შეეძლოს მამულის შეძენაო. ბრაიტმა სთქვა, რომ ზემოხსენებულ ძალ-დატანებით ღონის-ძიებას მხარს უჭერო, რადგანაც ამ ღონის-ძიებას მტკიცე რეფორმა (ცვლილება) მოჰყვებაო ირლანდიის შესახებ. ასე რომ არ იყოსო, სამინისტრო სკამზედ არ ვიჯდებოდიო.

---

— ვინც უარზედ იდგა, იმასაც მისთანა საქმე გადაახდევინეს მეორეთ.

— განა არ შეგვიძლიათ პირის შეკვრა ყველას...

— ეგეც ვსინჯეთ, მაგრამ მაშინ სულ სხვა რამე დაგვწამეს...

— აბა, იცით, ახლა რას გირჩევთ: მალე ჩამოვა აქ უმაღლესად დანიშნული რევიზორი და იმას მოახსენეთ ყველაფერი, როგორც მოძღვარს... ნუ გეშინიანთ... გაბედეთ...

— მის მობძანებაზე ჩვენამდინაც მოაწია სიტყვამ, მაგრამ არ გვირჩევენ... გაჩუმდით, თორემ უარესი საქმეც მოგივათო!.. დიდიან ახლავე, ვილაც-ვილაცაები სოფელ-სოფელ და ასე აგონებენ უმისოთაც შეშინებულ ხალხს: „წყალი წავა და ქვიშა დარჩებაო“ და „პეტრეს მოსვლამდე, პავლეს ტყავი გააძვრესო!“ თქვენმა სიმართლემ, რომ კიდეც გასჭრას, თქვენ მაინც ვეღარ მოგესწრებათო!..

— მაგეებს ყურს ნუ უგდებთ!.. და მათ ანდაზებს თქვენც ანდაზით უპასუხეთ: „ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანს-თქო“ და ისე მოიქეცით, როგორც გირჩევთ!..

ეს საუბარი მოგვყავს მხოლოდ ჩვენის კორრესპონდენტის დასანახვებლათ, რომ მისგან მოწერილი ამბავი პლუტუცაზედ გასაკვირი და განსაკუთრებითი არა არის-რა. და თანაც ამ თხოვნასაც დავძენთ, რომ ისინი ნურავის კერძოობას და პიროვნებას ნუ შეეხებიან. აგრეთვე ჭორათ განაგონ ამბებს, ნუ მოიწერებიან. მოგვწერონ მხოლოდ ისეთი ამბები, რომელიც თვითონ გამოუკვლევიათ, საეჭვო აღარ არის და რომლის დამტკიცება შეუძლიანთ. თუმცა ჩვენ ჩვენის მხრით კი ვიქონიებთ სიფრთხილეს, მაგრამ მაინც ვიმეორებთ ამ თხოვნას.

აკაკი.

## მწერლების სიმღერა

—

მოდით, ძმებო, შევერთდეთ,
ხელი ხელს გაუყაროთ;
სამუშაო რაც ვნახოთ,
თან-სწორ გავიზიაროთ.

—

შემოვსძახოთ მუშური,
ნურვის შეგვეშინდება! —
გურთი და მაედანი
მაშინ ჩვენი იქნება.

—

თესლათ სიტყვა ვიხმაროთ,
ნამგლათ ბასრი კალამი,
და ვინც კი დაგვეხმაროს,
მივსცეთ ძმური სალამი!

—

ხელის შემშლელები კი
ვსდევნოთ! ნუ გვეშინია.
ერთობა ძალას გვიმატებს,
გამარჯვება ჩვენია!

—

ჩვენ ხელშია სიმართლის
. . . . . . . .
ერთად გვმართებს სუყველას
იმისი სამსახური!

—

მოდით, ძმებო, შემოვკრბეთ,
ხელი ხელს გაუყაროთ
და რაც შრომა დაგვირჩეს!
ძმურათ გავიზიაროთ!

—

ვთესოთ, რაც სათესია;
ვმკოთ, რაც მოსამკელია,
შევერთდეთ და ერთმანეთს
ძმურათ მივსცეთ ხელია?

დ. ერისთავი.

სოფ. ბერეჟაული.

რა გვარ ცვლილებას უქადის მთავრობა ირლანდიას — ამაზედ თავის დროზედ მოგახსენებთ.

—

**ესპანია.** ესპანიის უცხო საქმეთა მინისტრის ცირკულიარში გამოცხადებულია, რომ ესპანიის მართებლობა არ გაერევა ევროპის საქმეებში, ნეიტრალიტეტს დაიცავს და მაგიერად თავის საკუთარ შინაგან საქმეებს მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას

მინისტრების რჩევას გარდაუწყვეტია, მეფის თავმჯდომარეობით, მიეტევოს დანაშაული, როგორც მწერლობაში დამნაშავეთ, ისე სხვათ და მიეცეთ ნება ესპანიაში დაბრუნებისა.

—

**ოსმალეთი.** ხონთქარი დარწმუნებულია ომის აუცილებლობაზედ. ამ დღეებში ჰქონიათ მოლაპარაკება ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, თუ როგორ შეუდგენ ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას. მაგრამ ვერა-ვითარ დასკვნამდის ვერ მოსულან, რადგანაც ინგლისის წარმომადგენელს გამოუცხადებია, რომ ჯერ არავითარი ცნობები არ მამსვლია ჩემ მართებლობისგანაო.

ოსმან-ფაშა დაინიშნება სარდლად თესალიაში და ეპირში დაყენებულის ოსმალოს ჯარისა.

რუსულ გაზეთ „ზარიადიაკ-ში“ იწერებიან სტამბოლიდამ:

„წარმოუდგენელი უწესოება არსებობს ამ ჟამად ოსმალეთის სატახტო ქალაქებში. ძრიელ გულმაგარი კაცი უნდა იყოს, რომ გულ-გრილად გარდიტანოს შიმშილისაგან დატანჯულ ცოცხალ-მკვდარ, ქუჩა-ქუჩა მოწანწალა ხალხის ცქერა. ქარცვა და მტაცებლობა გავრცელებულია საოცრათ. პატივს არც უცხოელებთან იძახვენ: ამ დღეებში გაძარცვეს ინგლისის საელჩოს ექიმი. ცოცხალი გადარჩა, მაგრამ 3,500 მანეთს კი გამოეთხოვა სამუდამოთ.

„გასაკვირველია, რომ შინაგან უწესოებებთან, ოსმალეთის შეუწყვეტელი მზადება აქვს კიდე ომისათვის და ჯარებს იტუმრებს სამზღვრებზე.

„ამ ცოტა ხანში მუსულმანებმა, დააარსეს ლონდონში ერთი ახალი გაზეთი — სახელად — „ქაირეტ“ გაზეთს დიდი ცდით გაჰყავს მუსულმანური აზრები გაზეთი იბეჭდება არაბულ და სპარსულ ენებზედ.“

# განცხადებანი

—

**ახალი სტამბა**

მოვსეს ვართანიანცისა და ამხ.

განიკის ქუჩაზე, თ. ბებუთოვის სახლებში ამ დღეებში გავაღე ახალი სტამბა სრული მოწყობილობით და ვიღებ ზავაზს ყოველ ენებზე

როგორც გამოცდილი ამ საქმეში, ვსესს ვგავ, რომ ნამდვილად და სინიდისიანათ შევასრულებ ყოველ მოთხოვნილებას. (5—1)

---

**უველაზედ** უფრო ბევრი საქონელი კავკასიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია**, არწრუნის გალდერეიაში: დირს სანახავად.

**ისყიდება** საზამთრო მოსახურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თევშები და მურაბები. 500,000 გლიტები, ფადროსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 2ս—1

---

**თფილისის სასულიერო სემინარიის მმართებლობა აცხადებს,** რომ ამავე სემინარიის შენობაში **იძლევა ქირით სამი სარდაფი** (პოდვალი) სხვა-და-სხვა ნივთების შესანახავად ანუ დასაწყობად.

ვისაც სურს ქირით აღება ზემოხსენებული სარდაფებისა, შეუძლიანთ მიმართონ პირობის შესატყობრათ სემინარის ეკონომს ათი საათიდამ ვიდრე ორ საათამდე შუადღის შემდეგ. (3—2)

---

**ახალი ამბავი.**

ქ. ფოთში გავადე კახური ღვინის პადვალი, მიხეილოვსკის მაედანზედ, სურგულაძის სახლებში, სმირნოვის სახლების პირდაპირ. ღვინოს ვყიდი თფილისის მაზანდაზე. ბოთლი 30 კ.—1 მანეთამდის.

იმედი მაქვს საზოგადოება კმაყოფილი დარჩეს ჩემი. პაღდოევი (3—2)

**სამშაბათს; 17 თებერვალს ქართულის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების** სასარგებლოთ, თბილისის კრუჟოკში იქნება გამართული

# ბ ა ლ ი

ქალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილი კაბით იყვნენ. კავალერები კი უნდა მობრძანდნენ ან მუნდირით, ან ფრაკით და ან ნაციონალური ტანისამოსით. (6—2)

---

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად** — წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—12)

---

**ლონდონის მაღაზია**

ერივნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდ—სი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, ვემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—30)

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| გადარეთ ნვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოხელვის ჩაის—1 მ. 40 კ. | |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— ,, |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— ,, | — —3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები — კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—91)

**პატენტიანი შჩოტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ [illegible] სახურავებით 2 მ. [illegible] 30 კაპ.; რეზინი 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუზ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—90)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიდნებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (ვემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—20)

---

მთელი წლის ანგარიში — კოპიო.

**ივრის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა**

1-ს იანვრიდგან 1880 წელსა 1-ს იანვრამდის 1881 წელსა.

| შემოსავალი: | მან.—კაპ. | გასავალი: | მან.—კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . | 723—14 | წილის ფული . . . | 176—60 |
| სარგებელი წინათ დაჭერილი . . . . | 860—14 | მოგება წილზედ . . | 231—89 |
| დაბრუნებული ნასესხი. | 5777—58 | გასესხებული . . . | 8353—50 |
| ჯარიმა . . . . . | 83—74 | სარგებელი ვადაზედ წინ გადახდილი ნასესხისა | 1—52 |
| სასარგებლო ი შემოტანილი . . . . | 460— ,, | სასარგებლოთ შემოტანილი . . . . | 479— ,, |
| ნასესხი . . . . . | 8346— ,, | სარგებელი მისი . . | 41—57 |
| სხვა და სხვა შემოსავალი . . . . | 44—50 | ნასესხი . . . . . | 6100— ,, |
| კასსაში გადმოვიდა 1879 წლისა . . . . | 161—76 | სარგებელი მისი . . | 201—23 |
| | | სამმართველოს ხარჯი . | 23—10 |
| | | სხვა და სხვა გასავალი | 90—43 |
| | | მართველებს და ზედამ. კამიტეტს . . . | 174— ,, |
| | | კასსაში არის . . . | 584— 2 |
| ჯამი . | 16,456—86 | ჯამი . | 16,456—86 |

ნამდვილად არის 1-ს იანვარს 1881 წ.

| შემოსავალი: | მან.—კაპ. | გასავალი: | მან.—კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული 563. | 3389—19 | გასესხებული. . . . | 10442— 6 |
| სასარგებლოთ შემოტანილი . . . . | 2343— ,, | კასსაში იყო. . . . | 584— 2 |
| ნასესხი . . . . . | 4246— ,, | ტფილისის საურთ. ნდობ. ბანკ. . . | 100— ,, |
| სათადარიგო თანხა. . | 120—47 | | |
| მოგება გაუტ. 1877—78—79 წლებისა . | 396—64 | | |
| წმინდა მოგება . . | 630—78 | | |
| ჯამი . | 11,126— 8 | ჯამი . | 11,126— 8 |

გამგეობის წევრი: ალექსანდრე ცხვედაძე. ბლაღ. მღვდელი თევდორე გულისოვი. ნიკ. ქურდოვანიძე.

წევრნი ზედამხედველი კამიტეტისა: სვირიდონ ჯაბადრი, მღ. აბ. ნახუცაროვი გრიგოლ ბილანოვი თ. დიმ. ციციანოვი მღ. იოანნე ბედიევი.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 5 Февраля 1881 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი· რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი